

შპს თი თი სი

მსს ფასს-ის საფუძველზე მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „თი თი სი“
სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
საქმიანობის შედეგები	2-3
განმარტებითი შენიშვნები	4-10

შპს "თი თი სი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	188,234	175,371
სავაჭრო მოთხოვნები	12	885,150	355,495
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		2,014,118	2,152,637
მარაგები	6	2,905,792	2,121,501
- მზა პროდუქცია		2,899,085	2,116,762
- სხვა		6,707	4,739
ძირითადი საშუალებები	5	704,189	635,467
სულ აქტივები		6,697,483	5,440,472
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		60,744	7,769
საგადასახადო ვალდებულებები		134,325	109,921
გამოუმუშავებელი შემოსავალი		71,382	45,750
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8	830,808	793,768
სულ ვალდებულებები		1,097,259	957,207
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	7	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5,500,224	4,383,265
სულ საკუთარი კაპიტალი		5,600,224	4,483,265
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,697,483	5,440,472

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

1 ოქტომბერი, 2019 წელი
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს "თი თი სი"
საქმიანობის შედეგები

	შენიშვნები	2018
ნეტო ამონაგები	9	17,153,786
საქონლის გაყიდვიდან		17,152,701
მომსახურების გაწევიდან		1,085
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(14,985,735)
თვითღირებულება		(14,985,735)
საწყისი მარაგები		(2,121,502)
მარაგების შესყიდვა		(15,770,025)
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები		2,905,792
საერთო მოგება		2,168,051
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება		(489,243)
ცვეთა და ამორტიზაცია		(34,410)
საპროცენტო შემოსავალი:		400
საპროცენტო ხარჯი :		(87,566)
იჯარის ხარჯი	11	(85,505)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(227,176)
სულ საოპერაციო ხარჯები		(923,500)
საოპერაციო მოგება		12,445,518
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (გაუფასურება)		-
მარაგები (გაუფასურება)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (გაუფასურება)		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(11,433)
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	10	3,840
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,236,959
განგრძობითი ოპერაციებიდან		1,236,959
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)		1,236,959
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური		
აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,236,959

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	4,483,265
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(120,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1,236,959
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,600,224

შპს „თი თი სი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თი თი სი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 205200815), რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში. (რეგისტრაციის თარიღი: 2007 წლის 5 აპრილი). კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს #10, ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი: ქ.თბილისი, მირცხულავას #11. კომპანია არ წარმოადგენს მშობელ/შვილობილ საწარმოს. მისი ძირითადი საქმიანობაა: **საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.**

კომპანიის მფლობელები არიან : ოლეგი ბაზაძე - 50%, დავითი ნიქაბაძე - 50%.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ოლეგი ბაზაძე.

2. ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით საანგარიშებო წლის ბოლოსათვის. კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.8588
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044	4.4935

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე.

3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ დამტკიცებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები. იგი წარმოადგენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების ფასით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

მიწა	
შენობები	2%
მანქანა-დანადგარები	10-15%
მანქანები	10-20%
ავეჯი და მოწყობილობა	10-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპონენტების განახლება-შეცვლაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ახალი აქტივის შეძენად და შესაბამისად კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი კომპონენტის ღირებულება აღიარდება ხარჯად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულების გაანგარიშებისას საწარმო იყენებს 'საშუალო შეწონილი ღირებულების' მეთოდს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა ან ზარალში, თუკი ეს შესაბამისობაში მოდის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.

სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხი აღიარდება რეალური ღირებულებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა, მომსახურების გაწევის შემთხვევაში - მომსახურების გაწევის მომენტის დასრულებისთანავე.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას საწარმოსთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო(ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი, ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	66,051	122,370
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	72,981	38,283
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	49,202	14,718
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	188,234	175,371

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარე ბი	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილ ობა	სულ
ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	181,725	274,190	15,952	175,108	40,968	687,943
შემოსვლა		25,595	245	57,112	29,931	112,883
გასვლა	-	-	(14,812)	-	-	(14,812)
31 დეკემბერი 2018	181,725	299,785	1,385	232,220	70,899	786,014
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2017	-	(16,154)	(5,134)	(15,489)	(15,699)	(52,476)
პერიოდის ცვეთა	-	(6,873)	(564)	(20,932)	(6,040)	(34,410)
გასვლა	-	-	5,061	-	-	5,061
31 დეკემბერი 2018	-	(23,027)	(637)	(36,421)	(21,739)	(81,825)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	181,725	258,036	10,818	159,619	25,269	635,467
31 დეკემბერი 2018	181,725	276,758	748	195,799	49,160	704,189

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	2,899,085	2,116,762
მასალები	6,707	4,739
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,905,792	2,121,501

7. კაპიტალი

2007 წლის 3 აპრილით დათარიღებული წესდების და სარეგისტრაციო დოკუმენტების მიხედვით კაპიტალი განსაზღვრული იყო 100 000 ლარით. მას შემდეგ კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა.

208 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა შემდეგი დივიდენდები:

გადასახდელი დივიდენდები	2018 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი დივიდენდები, 1 იანვარი	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	120,000
წლისგანმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(120,000)
სულ გადასახდელი დივიდენდები	-

8. სესხები

მოკლევადიანი სესხი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბანკის სესხი ლარში	24,845	-
ბანკის სესხი დოლარში	805,963	-
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხი დოლარში	-	648,050
სულ მოკლევადიანი სესხი	830,808	648,050

9. ამონაგები

ნეტო ამონაგები	2018
საქონლის გაყიდვიდან	17,152,701
მომსახურების გაწევიდან	1,085
სულ ამონაგები	17,153,786

10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იგულისხმება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და იმ მომენტიდან აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

11. იჯარა

იჯარა გულისხმობს საოპერაციო იჯარას.

12. სხვა განმარტებები

შესაბამისობა საგადასახადო კანონმდებლობასთან

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან 163,878 ლარის ღირებულების სავაჭრო მოთხოვნები (ორივე საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის) შეფასებულია უიმედოდ. საწარმოს არ განუხორციელებია აღნიშნული აქტივების საექვო ვალების რეზერვში გადატანა და ზარალის ანგარიშზე ასახვა, ვინაიდან არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უიმედო ვალების ჩამოწერასთან დაკავშირებით მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

მსს ფასს-ზე გადასვლა

მსს ფასს-ზე გადასვლას საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია.

საწარმოს მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

საანგარიშგებო წლის დასრულები შემდგომი მოვლენები.

მსს ფასს-ის მიხედვით, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელი მოვლენებთან დაკავშირებით უნდა გაამჟღავნოს ამ მოვლენის არსი და საწარმოს ფინანსურ მაჩვენებლებზე მისი შეფასება.

საანგარიშგებო წლის დასრულების შემდგომ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციამდე, ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს საანგარიშგებო პერიოდის კორექტირებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, ადგილი არ ჰქონია.

პასუხისმგებელი პირები

ფინანსური ანგარიშგებების, მასზე დართული ახსნა-განმარტებების, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის სისწორესა და მათ შესაბამისობაზე მცირე და საშუალო მეწარმეთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან, პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის ცვლილების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ კომპანიის დირექტორს და მთავარ ბუღალტერს.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	12/31/2018	12/31/2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	188,234	175,371
სავაჭრო მოთხოვნები	885,150	355,495
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	2,014,118	2,152,637
მარაგები	2,905,792	2,121,501
- შზა პროდუქცია	2,899,085	2,116,762
- სხვა	6,707	4,739
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	704,189	635,467
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	6,697,483	5,440,472

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	60,744	7,769
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	134,325	109,921
გამოუმუშავებელი შემოსავალი	71,382	45,750
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	830,808	793,768
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		-
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	1,097,259	957,207

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')	100,000	100,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	5,500,224	4,383,265
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	5,600,224	4,483,265
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,697,483	5,440,472

დირექტორი: ო.ბაზაძე

მთავარი ბუღალტერი: მ.ჭიდიტაშვილი



მ. ჭიდიტაშვილი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	12/31/2018
ნეტო ამონაგები	17,153,786
საქონლის გაყიდვიდან	17,152,701
მომსახურების გაწევიდან	1,085
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-
სხვა	-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(14,985,735)
თვითღირებულება	(14,985,735)
საწყისი მარაგები	(2,121,502)
მარაგების შესყიდვა	(15,270,027)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	290,792
საერთო მოგება	2,168,051

სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(489,243)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,410)
საპროცენტო შემოსავალი:	400
საპროცენტო ხარჯი :	(87,566)
იჯარის ხარჯი	(85,505)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(227,176)
სულ საოპერაციო ხარჯები	(923,500)

საოპერაციო მოგება	1,244,551
-------------------	-----------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები (გაუფასურება)	
მარაგები (გაუფასურება)	
სხვა არაფინანსური აქტივები (გაუფასურება)	

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(11,433)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	3,840
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(7,592)
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	1,236,959

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მილიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,236,959

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	4,483,265
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(120,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1,236,959
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,600,224

დირექტორი: ო.ბაზაძე

მთავარი ბუღალტერი :მ.ჭილიტაშვილი



Handwritten signature in blue ink.